FACTSHEET

COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევების აღწერილობითი ანალიზი სქესისა და ასაკის მიხედვით

საერთაშორისო რეკომენდაციებისა და მათ შორის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად, საქართველო აგროვებს COVID-19-თან დაკავშირებულ სეგრეგირებულ მონაცემებს, არაერთი მაჩვენებლის გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ მონაცემთა სიღრმისეული ანალიზის განხორციელება შესაძლებელია პოსტ-კრიზისულ ეტაპზე, თუმცაღა, ქვემოთ მოცემულ გრაფებში, შეგიძლიათ იხილოთ COVID-19-ის დადასტურებულ შემთხვევებთან მიმართებით განხილულ მონაცემთა აღწერილობითი ანალიზი სქესისა და ასაკის მიხედვით.

ინფორმაცია განახლდა **2020 წლის 19 აპრილს.** ინფიცირებულთა დადასტურებული შემთხვევა - **269**

საშუალო ასაკი (სრული რაოდენობა: 269) – **43**
მაქსიმალური ასაკი – **87**
მინიმალური ასაკი – **2**

ასაკობრივი კატეგორიები დადასტურების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით:
15-29 – 58 (22%)
50-59 – 51 (19%)
30-39 – 47 (17%)

კაცების შემთხვევაში COVID-19-ით დაინფიცირების ყველაზე მაღალი დადასტურებული რაოდენობა (34) მიეკუთვნება - **15-29 ასაკობრივ კატეგორიას.**

ქალების შემთხვევაში COVID-19-ით დაინფიცირების ყველაზე მაღალი დადასტურებული რაოდენობა (30) მიეკუთვნება - **50-59 ასაკობრივ კატეგორიას.**

კაცების შემთხვევაში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის რაოდენობა - **134** (50%)
ქალების შემთხვევაში COVID-19-ის დადასტურებული შემთხვევის რაოდენობა - **135** (50%)